





**კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (საჭიროა მათთვის, ვინც ამჟამად არ არის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი)
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
3. დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საჭიროა მათთვის, ვინც ამჟამად არ არის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი);
4. ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (საგაზეთო სტატიები არ მიუთითოთ);
5. სამეცნიერო შრომების სრული სია მათთვის, ვინც ამჟამად არ არის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი;
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის / სტატიის ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს / კვლევის უნარს;
7. შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელ.ფოსტა, მისამართი); (საჭიროა მათთვის, ვინც ამჟამად არ არის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი);
8. სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი, შესაბამისი დამოწმებით (მხედველობაში მიიღება სამეცნიერო ფონდში წარდგენილი, მაგრამ დაუფინანსებელი პროექტებიც, შესაბამისი დამოწმებით);
9. მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში;
10. სხვა პროფესიული აქტივობა (პროფესიული სტიპენდიები, პრემიები, სალექციო მუშაობა, საკვალიფიკაციო კურსები, ლიტერატურული ტელე და რადიო გადაცემები, პედაგოგიური საქმიანობა და სხვა).
11. მაგისტრატურის ან დოქტორანტურის ახლადკურსდამთავრებულებმა და დოქტორანტებმა სავალდებულოა, წარმოადგინონ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
12. ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის სავალდებულოა ბიბლიოთეკის შემოვლის ბარათის წარმოდგენა.



**კონკურსანტის შერჩევის კრიტერიუმები:**

შესაბამის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას პრიორიტეტულად გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

- ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (ბოლო სამი წლის განმავლობაში);
- ბ) წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის, მონოგრაფიის) ხარისხი;
- გ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო საგრანტო თემატიკაში (საგრანტო პროექტებში მონაწილეობა არსებით პრიორიტეტად მიიჩნევა მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში);
- დ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

**საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო კომისია ჩაატარებს გასაუბრებას კონკურსანტებთან.**



**კომისიის მიერ შერჩეული კონკურსანტების თანამდებობაზე დანიშვნის წესი**

სამეცნიერო საბჭოს დასკვნის საფუძველზე, ინსტიტუტის დირექტორის ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს ოთხი წლის ვადით.



**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 99-90-47, 98-26-76, ან ელექტრონულ მისამართზე:  
litinst@litinstituti.ge**

**საბუთების მიღება იწარმოებს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში, 4 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით; პასუხისმგებელი პირი – ხათუნა რეხვიაშვილი. მისამართი: მ. კოსტავას ქ. №5, II სართული.**